



ხელშეკრულება № _____

ქ. ბათუმი

201 ____ წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“ (მისამართი: მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38), წარმოდგენილი მისი რექტორის პროფ. პარმენ ხვედელიძის სახით (შემდგომში – სასწავლო უნივერსიტეტი), და მეორეს მხრივ მოქალაქე: _____ (მცხოვრები მისამართზე: _____

_____ ტელ. ნომერი: _____ (შემდგომში „სტუდენტი“);

ვდებთ წინამდებარე განათლების მომსახურების ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მხარეთა შორის ურთიერთობები, მხარეთა უფლებები და მოვალეობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, საკუთრივ ამ ხელშეკრულებით, სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ქვევის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებით/წესებით, რომლებიც ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ. ამ ხელშეკრულებით, სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ქვევის და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებებით/წესებით და სხვა სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებით გათვალისწინებული პირობების დადგომისას, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
2. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ სტუდენტმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოიპოვა სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე უკვე თავს სასწავლო უნივერსიტეტის განათლების სფეროში მომსახურებას, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტი კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული უფლების საფუძველზე ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სწავლის საფასურის გადახდის სანაცვლოდ გაუწევს სტუდენტს განათლების მომსახურებას;
3. სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში მიაწოდოს პირს სტუდენტის სტატუსი და ჩარიცხოს იგი საგანმანათლებლო პროგრამაზე _____:

დასახელება უმაღლესი განათლების საფეხურის (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა) მითითებით

შექმნას განათლების მისაღებად ყველა პირობა (სათანადოდ და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის განხორციელება, პროგრამის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსები, სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკის ფონდები, საინფორმაციო საშუალებები და სხვ.); საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს სტუდენტის ცონის და უნარების ობიექტური შეფასება, სტუდენტის პერსონალური მონაცემების დასაცა და სტუდენტისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების განხორციელება; ხელშეკრულების ხელმოწერამდე და ხელმოწერის შემდეგ მისცეს სტუდენტს საშუალება ნებისმიერ დროს თავისფულად გაეცნოს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მითითებულ დოკუმენტებს, სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ ცოდნის შეფასების სისტემას და სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვასთან დაკავშირებულ ნორმებს/შედასაუნივერსიტეტო აქტებს; ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მითითებულ და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში უზრუნველყოს ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.bntu.edu.ge და/ან საინფორმაციო დაფაზე ინფორმაციის განთავსებით; სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების შესრულებით კვალიფიკაციის მინიჭებისთვის აუცილებელი კრედიტების დაგროვების შედეგად მიაწოდოს კურსდამთავრებულს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი - კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დიპლომი და დიპლომის დანართი; სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები;

4. სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია მოსთხოვოს სტუდენტს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება, ამ ხელშეკრულებაში დადგენილი წესით და ოდენობით სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სტუდენტს შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი, მოთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება; საქართველოს კანონმდებლობის დაცვით დაამუშაოს სტუდენტის პერსონალური მონაცემები; ცალმხრივად შეიტანოს ცვლილებები/დამატებები ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მითითებულ და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებში გონივრულ ვადაში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პირობით; მოსთხოვოს სტუდენტს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მითითებული დოკუმენტების, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვასთან დაკავშირებული ნორმების/წესების შესრულება; საქართველოს კანონმდებლობის დაცვით ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის - შინაგანაწესით გათვალისწინებულ შემთხვევებში სტუდენტს შეუჩეროს, ადადგინოს ან შეუწყვიტოს სტუდენტს სტატუსი; შეცვალოს/გააუქმოს საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტის წინასწარი ინფორმირებისა და განათლების უწყვეტობის შესაძლებლობის პირობით;

4. სტუდენტი ვალდებულია ხელშეკრულების ხელმოწერამდე და ხელმოწერის შემდეგ გაეცნოს ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მითითებულ დოკუმენტებს; წინამდებარე ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით და ვადებში გადაიხადოს სწავლის საფასური; გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის ქონებას და დაიცვას ქვევის წესები; შეისწავლოს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და მის მიერ არჩეული სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები და შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები; გაეცნოს სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე/საინფორმაციო დაფაზე განთავსებულ ინფორმაციას; შეასრულოს/დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შინაგანაწესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება, ეთიკის კოდექსი, ქვევის წესები და შიდასაუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები; სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები;

4. სტუდენტი უფლებამოსილია მოსთხოვოს სასწავლო უნივერსიტეტს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება; პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; განათლების მისაღებად აუცილებელი პირობების (სათანადოდ და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის განხორციელება, პროგრამის შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა, სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკის ფონდები, საინფორმაციო და სხვა საშუალებები და სხვ.) შექმნა; კვალიფიკაციის მომსახურების მიღება; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სტუდენტის უფლებების დაცვა; თანასწორ პირობებში სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის და სასწავლო უნივერსიტეტის ღონისძიებებში/პროექტებში/სხვ. მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფა; სასწავლო

პროცესთან, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასთან და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საჯაროობის უზრუნველყოფა, მათ შორის ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად მითითებულ და სხვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში. სტუდენტს უფლება აქვს უარყოფითი შეფასების „Fx“ მიღების შემთხვევაში გავიდეს დამატებით გამოცდაზე/დაცვაზე, უარყოფითი „F“ შეფასების შემთხვევაში კი ახლიდან შეისწავლოს სასწავლო კურსი/პროგრამის კომპონენტი (თვითდაფინანსებით, კრედიტების რაოდენობის შესაბამისად), კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს მობილობის უფლებით, შეიჩეროს, აღადგინოს ან შეიწყვიტოს სტუდენტის სტატუსი, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გააუქმების შემთხვევაში მოითხოვოს წინასწარი ინფორმირების და განათლების უწყვეტობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესის დაცვით;

5. 201_____ - 20_____ სასწავლო წელს ამ ხელშეკრულებაში მითითებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის სწავლის საფასური განისაზღვრება წელიწადში: _____ (_____) ლარით (თითოეულ სემესტრში: _____ (_____) ლარი). სწავლის საფასურის გადახდა ხდება სემესტრულად, არაუგვიანეს ადმინისტრაციული (პირველადი/სემესტრული) რეგისტრაციის ვადისა. თუ სტუდენტს მიღებული აქვს სასწავლო ან სხვა დოკუმენტურად დადასტურებული გრანტი/დაფინანსება, მაშინ სტუდენტის მიერ გადასახდელი თანხა გამოითვლება სწავლის საფასურიდან გრანტის/დაფინანსების შესაბამისი თანხის გამოკლებით. ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული სწავლის საფასური უცვლელია და არ გაიზრდება საგანმანათლებლო პროგრამაზე დადგენილ ვადაში სწავლის განმავლობაში. ჩარიცხვის წელს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით;

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სასწავლო უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების მოქმედება შეჩერებულია, სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სასწავლო უნივერსიტეტში სტატუსშეჩერებული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენის აუცილებელი პირობაა სტატუსის შეჩერებამდე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება/დავალიანების დაფარვა. ამ ხელშეკრულების შეწყვეტას იწვევს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, შიდამობილობით სასწავლო უნივერსიტეტის სხვა საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის გაგრძელება, სასწავლო უნივერსიტეტის ლიკვიდაციის წარმოების დაწყება ან სასწავლო უნივერსიტეტისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის უფლების (ავტორიზაციის) გაუქმება;

8. ხელშეკრულების ხელმოწერით ხელშეკრულების მხარეები თანხმდებიან მის შინაარსზე. არასრულწლოვანი სტუდენტის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი;

9. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სტუდენტი ადასტურებს, რომ: ა) ამ ხელშეკრულების დადებამდე სასწავლო უნივერსიტეტმა უზრუნველყო მისთვის ყველა იმ დოკუმენტის გაცნობა, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს; ბ) მისთვის ცნობილია საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში, პროგრამის მოთხოვნები, სწავლის ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობა, გ) თანახმაა სასწავლო უნივერსიტეტმა დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ინფორმაცია მისი ვინაობის შესახებ განათავსოს ვებ-გვერდზე, ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენისას და სტუდენტთა რეესტრის წარმოებისას მიუთითოს სწავლასთან, სტუდენტის სტატუსთან და პირად მონაცემებთან დაკავშირებული სხვ. ინფორმაცია (პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და ხელშეკრულების ასლები და სხვ.); დ) მისთვის ცნობილია სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, სამუშაო, გამოსაცვლელი და ჰიგიენისთვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სივოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეოკონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ; ე) თანახმაა ამ ხელშეკრულებაში მითითებულ ელ.ფოსტაზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვალოს ოფიციალურ შეტყობინებად და იღებს ვალდებულებას ცვლილებების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინოს სასწავლო უნივერსიტეტს ელ.ფოსტის ახალი მისამართი;

7. ხელშეკრულების მხარეთა შორის სადავო საკითხები გვარდება შეთანხმებით. თუ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, მაშინ დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ყველა ურთიერთობა, რომელიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით და სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი დებულებებით/წესებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

10. თუ ხელშეკრულების რომელიმე მუხლი აღმოჩნდება ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას. ხელშეკრულებაში ყოველგვარი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით. ძალაში შესული ცვლილებები წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ამ ხელშეკრულების პირობების შეცვლა, რომელიც განპირობებულია კანონმდებლობის ცვლილებით, არ საჭიროებს სტუდენტის თანხმობას;

11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ გვერდად. თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემა მხარეებს. ხელშეკრულება ძალაშია შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლების მთელი დროის განმავლობაში ამ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„სასწავლო უნივერსიტეტი“

შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 245433623
მისამართი: აჟარა, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი №38
საკონტაქტო ტელ.: 0422292525
ელ.ფოსტა: info@bntu.edu.ge ვებგვერდი: www.bntu.edu.ge
რეკტორი: პარმენ ხვედელიძე
ხელმოწერა _____

ბ. ა.

„სტუდენტი“

სახელი, გვარი: _____
პირადი №: _____
პირადობის მოწმობის № _____
მისამართი: _____
საკონტაქტო ტელ.: _____
ელ.ფოსტა: _____
ხელმოწერა _____

კანონიერი წარმომადგენელი

სახელი, გვარი: _____
პირადი №: _____
მისამართი: _____
საკონტაქტო ტელ.: _____
ხელმოწერა _____